ხელშეკრულება № 24
გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფელ ფარცხანაყანევი 29.05. 2017 წ.

ერთი მხრივ, სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის N1 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მ/შ ეკატერინე ლაღაძის სახით და მეორე მხრივ, ი/მეწარმე სოფიო გორგოძის - პირადი N 60003011462 , „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია სკოლების საგრანტო დაფინანსების პროგრამის „თავისუფალი გაკვეთილები" პროგრამის კოდი-32013 ფარგლებში მატყლის (CPV: 19281000),საკერავი ძაფები(საქსოვი ძაფები CPV:19435100), ნაირგვარი ქსოვილის ნივთები(ნემსის კომპლექტი,თექის ნემსის ფირფიტა CPV:39525001), მოსართავები(შუშის დასაკერებელი ბურთი CPV:39295500) თოკი(CPV:39541110) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 192.50 (ას ოთხმოცდათორმეტი ლარი და ორმოცდაათი თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (სოფელ ფარცხანაყანევი).

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების

შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.
6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.
7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 3 კალენდარული დღისა, უნდა აცნობოს მეორე მხარეს მისი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:
ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;
ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;
გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების

მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. ხელშეკრულება დადებულია და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.
10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდაზე.

მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2017 წლის 31 ივნისის ჩათვლით. (ხელშეკრულების მოქმედების ვადა მინიმუმ 30 დღით უნდა აღმეტებოდეს მომსახურების მიღების ვადას)

მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი:	**მიმწოდებელი:**
სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის N1საჯარო სკოლა ს/კ 221299869 მის: სოფ.ფარცხანაყანევი ტელ:577602096 საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი : BAGAGE22 ა/ა GE 45BG0000000119523400 დირექტორი: ეკატერინე ლაღაძე (ხელმოწერა) ბ.ა	ი/მ : სოფიო გორგოძე პ. № 60003011462 ტელ.:571800126 მისამართი: ქ.ქუთაისი წერეთლის ქ.4-ა საბანკო რეკვიზიტები: GE26TB7955136010100030 ბანკის კოდი ა/ა TBGBGE ი/მეწარმე: სოფიოგორგოძე (ხელმოწერა) ბ.ა

დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო
1	მატყლი	კილო	4,600	15.00	69.00
2	საკერავი ძაფები(საქარგი ძაფი)	ცალი	1,400	20.00	28.00
3	საქსოვი ძაფი	შეკვრა	0,200	40.00	8.00
4	საქსოვი ძაფი	შეკვრა	0,400	25.00	10.00
5	თოკი	მეტრი	4,00	1.500	6.00
6	ნაირგვარი ქსოვილის ნივთები(თექის ნემსის ფირფიტა,ნემსის კომპლექტი)	ცალი	2.00 1.00	14.00 18.00	28.00 18.00
7	საქსოვი ძაფი	შეკვრა	0.600	35.00	21.00
8	მოსართავები და აქსესუარები(შუშის დასაკერებელი ბურთი)	კილო	0.300	15.00	4.500
სულ ღირებულება					192.50

სსიპ - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანევის N1 საჯარო სკოლის დირექტორის მ/შ /ეკატერინე ლაღაძე /

ი/მ : / სოფიო გორგოძე /